

83

3-466

03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით


ელეონორა გვირგვილი

გერვარტ პაულიშვალი

100105 — ეგრობისა და
აშენის ხალხთა ლიტერატურა

პიტორევერატი

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად



თბილისი
1997

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ს. ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გერმანული ქნის კათედრაზე.

სადისერტაციო საბჭოს
ექსპერტი:

ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. მ. ნათაძე

ოფიციალური თბონენტები:

ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ.
ზ. ჰარსალაშვილი

ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. ი. პობასიძე

ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. მ. პაიშავაძე

წამყვანი სამეცნიერო
დაწესებულება:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 26 XI საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებული სადისერტაციო საბჭოს (P 1005 C № 7) სხდომაზე,
14 აუდიტორიაში.

მისამართი: 380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 36.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წლის 21 XI.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგის მეცნიერებათა
კანდიდატი

h. j. m. n. a. w. t. h. დოც. რ. ციხითათრიშვილი

შრომის ზოგადი დანასიათება

წარმოდგენილი ნაშრომის კალეგის საგანია XIX-XX საუკუნეების მიჯნის გერმანული სიტყვაკაზმული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის, გერმანეთი პაუპტმანის შემოქმედების მეორე პერიოდის მეცნიერული ანალიზი, რომელიც მოიცავს დიდი პუმანისტის უმ იდრესი მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს (პირველი პერიოდის ნაწარმები ჩვენ შევისწავლეთ და კრიტიკულად გავაანალიზეთ საკანდიდო ტო დისერტაციაში „გ. პაუპტმანი ქართულ ლიტერატურასა და სც ნაზე“). ჩვენს საღოქტორო დისერტაციაში „გ. პაუპტმანი“ განიხილებ მწერლის 1920-1946 წლებში დაწერილი თითქმის ყველა ნაწარმოებ (მცირე გამონაცვლის გარდა, რომლებიც ვერ მოვიძიეთ), გამოკვლეულია ის სოციალური და ფილოსოფიური ძირები, რომლებიც დროი მოცემულ მონაკვეთში მათი შექმნის თეორიულ საფუძველს წარმოადგენენ.

პრობლემის აქტუალობა. გ. პაუპტმანი არის გასული საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული მწერლობის ერთ-ერთი, ყველაზე პოპულარული და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. მისმა შემოქმედებამ განმსაზღვრული როლი ითამაშა ახალი დროის სოციალური რომანისა და დრამის განვითარების პროცესში. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აქამდე არ შექმნილა რამე სერიოზული გამოკვლევა, რომელიც სრულად და ობიექტურად გააშექმნა გერმანული მწერლის ამ პერიოდის შემოქმედებით ევოლუციას. ჩვენი ნაშრომის შექმნის აუცილებლობა იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ მრავალი რუსი თუ ევროპელი ლიტერატურის კრიტიკოსი, აგრეთვე საგმაოდ ავტორიტეტული ზოგიერთი დასავლური აკადემიური გამოცემა პაუპტმანის მემკვიდრეობას ხშირად ზედაპირულად, ან სუბიექტურად აფასებს. მისი როგორც შემოქმედებითი, ასევე ცხოვრებისეული გზა კი თავისი სირთულითა და წინააღმდეგობრიობით საგანგებო, ღრმა და ობიექტურ შესწავლას მოითხოვს, რაც უნდა მოხდეს XX საუკუნის დიდი კატაკლიზმების ფონზე. მოცემულ ეტაზზე ჩვენ ეს საკითხი ქართული გერმანისტის ყველაზე აქტუალურ ამოცანად გვესახება, რადგან გერმანული მწერლის ნაწარმოებები თავისი პრობლემატიკა და სიმწვავით საოცრად ეხმიანებიან დღვევანდელი საქართველოს ყოფასა და ქართველი ხალხის სულიერ მდგომარეობას.

პაუპტმანის შემოქმედების მეორე პერიოდი განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს როგორც ზოგადად ლიტერატურის ისტორიის, ასევე